განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

განათლების ადმინისტრირება

შპს ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 20 აგვისტო, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი 23 სექტემბერი, 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ევროპის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201954956
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	განათლების ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	---
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ გიორგაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინა ჩავლეიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე კვირიკაშვილი, ძველი თბილისის რესურსცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიკო შარაბიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის ახალი. პროგრამა შექმნილია დაწესებულების ადმინისტრაციის, სტუდენტების, დამსაქმებლების, პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია გარე ექსპერტების დასკვნებისა და ბაზრის მიმოხილვის შედეგები.

პროგრამის შინაარსი ფარავას განათლების სისტემის სამ სფეროს - ზოგადი, პროფესიული და უმაღლეს განათლების ადმინისტრირების საკითხებს.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს, რომლის ათვისებაც ხდება 4 სემესტრის განმავლობაში.

პროგრამა მოიცავს პრაქტიკისა და კვლევის კომპონენტებს. პროფესიულ პრაქტიკა ხორციელდება პარტნიონ სამი ტიპის ორგანიზაციაში - ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აღნიშნული ორგანიზაციებთან დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

კვლევის კომპონენტი ხორციელდება პირველივე სემესტრიდან, რომლიც იწყება კვლევის მეთოდების შესახებ შესავალი სასწავლო კურსით. მეორე სემესტრში სტუდენტი განათლების კვლევების მიმართულებით ცოდნას იღრმავებს პრაქტიკის კვლევის კურსის ფარგლებში და ამასთანავე აქვს მონაცემთა სტატისტიკური / რაოდენობრივი ანალიზის შესაბამისი კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობა შესაბამისი კურსების ფარგლებში.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა და მისი დაცვა დაგეგმილია პროგრამის დასკვნით ეტაპზე - მე-4 სემესტრში. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სტუდენტი აჯამებს პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნასა და კვლევით უნარებს. სამაგისტრო ნაშრომისთვის დათმობილია ერთი სემესტრი, რომლის მოცულობა შეადგენს 30 კრედიტს.

პროგრამისთვის განსაზღვრულია ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს. სწავლის შედეგების შეფასება დაგეგმილია წინასწარ განსაზღვრული, გონივრულად შერჩეული პერიოდულობით.

პროგრამის შემუშავებასა და მის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური, შესაბამისი სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალი.

დაწესებულებას დადგენილ ვადებში გაეგზავნა დასკვნის პროექტი, რომლის საფუძველზეც მან წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია რეკომენაციებთან დაკავშირებით. დაწესებულება სრულად იზიარებს ექსპერთა რეკოემდნაციებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 3 21 0000787373 - 11. 08. 2021) თანახმად, 2021 წლის 20 აგვისტოს შპს ევროპის უნივერსიტეტში უნივერსიტეტში დისტანციურად (ზუმის პლატფორმის გამოყენებით) განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ამავე უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობა. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ იმუშავა პროგრამის გაცნობაზე, შეფასებაზე და დაზუსტდა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებსა და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სამუშაო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს. ასევე გაიმართა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დისტანციურად დაათვალიერა უნივერ-სი-ტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აუდიტორიები, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

შეხვედრის განმავლობაში დაზუსტდა ინფორმაცია პროგრამის, მისი ცალკეული კომპონენტებისა და სტრუქ-ტუ-რის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოტანილი დასკვნები, რეკომენდაციები და რჩევები ეყრდნობა სწორედ ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;
  - რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ნაწილში დაზუსტდეს და დეტაურად გაიწეროს სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ძირითადი საკითხების ჩამონათვალი, შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, გამოცდის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - პროგრამის გაძლიერებისთვის სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსებიდან „საგანმანათლებლო დაწერებულებებში ადამინური რესურსების მართვა“.
  - სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და განხორციელდეს სავალდებულო ლიტერატურის ოპტიმიზაცია და დამატებით ლიტერატურულ მასალებში მათი გადანაწილება;
  - სასწავლო კურსებში „განათლების სისტემის ადმინისტრირება და განვითარება“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების მოდელები და ბიუჯეტირების საკითხები“ სავალდებულო ლიტარატურად გამოყენებულია ერთი და იგივე წყარო - „დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2010. სილაბუსში უნდა იყოს მითითებული კურსების შესაბამისად, აღნიშნული წყაროდან გამოყენებული შესაბამისი გვერდები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში კვლევის პროცედურებში არა მარტო მონათესავე/ანალოგიური პროგრამების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა, არამედ მსგავსი პროგრამის განმახორციელებელი ქართული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართვა კვლევის პროცესში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად კვალიფიკაციის სირთულის მე-7 დონეს. პროგრამის შედეგად მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - „განათლების ადმინისტრირების მაგისტრი“. კვალიფიკაციის კოდია 0413. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, რომლის თანახმად, შპს ევროპის უნივერსიტეტი ისწრაფვის სტუდენტზე ორიენტირებული, ხარისხიანი უმაღლესი განათლების შეთავაზების, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფის, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვის, ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებისა და სამეცნიერო/კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებისაკენ. დაწესებულების მისიასთან კავშირების მოტივით არის ნაკარნახევი მიზანში გაწერილი შემდეგი დებულებები - “პროგრამის მიზანია თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს განათლების ადმინისტრირების სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც ფლობს … განათლების როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კონტექსტისა და ტენდენციების ღრმა და სისტემურ ცოდნას; საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის პროცესისათვის აუცილებელი საკითხების ანალიზის, სფეროსა და დარგის მნიშვნელოვანი საკითხების კვლევისა და ინფორმაციის ანალიზზე დაფუძნებულ დასკვნებზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების და გამოწვევების დაძლევის უნარს; განათლების სფეროს ღირებულებების, პროფესიული ეთიკის და საკუთარი თავის, საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე სოციალური პასუხისმგებლობის გაცნობიერების უნარს. პროგრამას მტკიცებულების სახით თან ახლავს განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის გარე ფაქტორებისა და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი. პროგრამის მიზნები ეფუძნება აღნიშნული კვლევის შედეგებს. სწორედ ზემოთ აღნიშნული კვლევებით არის ნაკარნახევი ის, რომ პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებში პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობისაკენ. პროგრამა არის ახალი. შესაბამისად ის არ არის განთავსებული დაწესებულის ვებგვერდზე. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის აკრედიტებულ რეჟიმში განხორციელების

შემთხვევაში, განთავსებდა ვერგვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის. ინტერვიუებმა დაადასტურეს, რომ პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია დაწესებულების ადმინისტრაციის, პროგრამის განმახრციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და პოტენციული დამსაქმებლების / პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელების ფართო ჩართულობით. თითოეული ჩართული მხარე ავლენდა დეტალურ ცოდნას პროგრამის შესახებ და აღწერდა პროგრამაზე მუშაობის პროცესს. ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაცია იყო თანმიმდევრული, რელევანტური და ურთერთშემავსებელი, რაც მიანიშნებს, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ და შემუშავებულია მათი ჩართულობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ დაწესებულების მისია; ○ დაწესებულების ვებგვერდი; ○ თვითშეფასება; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედგები ეყრდნობა განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის გარე ფაქტორებისა და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზს. ითვალისწინებს გარე ექსპერტებისა და პროგრამის სამუშაო ჯგუფის შეფასებებს. როგორც ინტერვიუებისა და მტკიცებულებად წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტებიდან დგინდება, სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია პროგრამის სამუშაო ჯგუფის მოსაზრებები, ბაზრის კვლევის, გარე შეფასებისა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით დგინდება, რომ პროგრამის შემუშავებამდე და ხორციელდება შრომის ბაზრის ტენდენციების შესწავლა და პროგრამის შემუშავების საჭიროების დასაბუთება შესაბამისი ფაკულტეტის მიერ. პროგრამის შემუშავების საჭიროების დადგენის შემდეგ ფაკულტეტი ირჩევს პროგრამის ხელმძღვანელს და იწყება პროგრამაზე მუშაობის პროცესი უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და პროცედურებით. პროგრამის შემუშავებაში ჩართულია როგორც ადმინსტრაციული ერთეულები, ასევე სპეციალურად შექმნილი კომიტეტები. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის თვითშეფასების გარკვეული კომპონენტების ანალიზსა და რევიზიაში ჩართულები არიან ასევე სხვა ფაკულტეტებიც. ინტერვიუების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას სისტემატიურად ეწყობოდა შეხვედრები და თითოეული ეტაპის შედეგების გაზიარება ხდებოდა ელექტრონულად თუ სამუშაო შეხვედრებზე პირის-პირ. ამას ასევე ადასტურებდა ინტერვიუს მსვლელობისას ყველა ჯგუფის მხრიდან მიღებული თანმიმდევრული და ურთიერთთავსებადი პასუხები. ზემოთ აღნიშნული მიგნებებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მხარეების ჩართულობით და პროგრამის სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყო სწავლის შედეგების გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის.

პროგრამის სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის სადემონსტრაციოდ დაწესებულება იყენებს პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის მიზნების შესაბამისობის რუკას.

პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს სწავლის შედეგების პროცესს, ინდიკატორებსა და შეფასების გეგმას.

სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება სტუდენტთა მიერ მიღწეული შედეგები იმ კომპონენტების ფარგლებში, რომელშიც ფასდება/ჯამდება შესაბამისი სწავლის შედეგი. სტუდენტთა შეფასების ერთიანი შედეგები, შესაბამის ინდიკატორთან დადარების შედეგად, ნაწილდება შეფასების სამი დონის შკალაზე - ვერ აკმაყოფილებს, მეტწილად აკმაყოფილებს, აკმაყოფილებს. თითოეული ინდიკატორის და შეფასების თითოეული დონისთვის გაწერიალია შეფასების რუბრიკები.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა ადგენს სამიზნე ნიშნულებს, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება სწავლის შედეგები მიღწეულად და რა შემთხვევა საყურადღებოდ. პროგრამის სამიზნე ნიშნულად შერჩეულად შემდეგი პარამეტრი:

სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან საყურადღებოდ ითვლება შედეგი, როცა შემოწმებული ნაშრომების 10% - ზე მეტი შეფასების რომელიმე ინდიკატორში ფასდება შეფასების დონით „ვერ აკმაყოფილებს“. ამ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მეტწილად ვერ მიიღწევა და ამდენად, საჭიროა მიზეზების კვლევა.

დაწესებულებაში მოქმედებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ერთიანი დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც შემუშავებულია წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების მექნიზმი. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს.

პირდაპირი მეთოდით შეფასების პროცესში მონაწილეობს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო ყველა კომპონენტი და კომპონენტზე დარეგისტრირებული ყველა სტუდენტი. მოწმდება თითოეულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტთა რამდენი პროცენტი იღებს შეფასებას A (ფრიადი) და შეფასებას F (ჩაიჭრა). იმისათვის, რომ შედეგები იყოს ლოგიკური, მოწმდება ისეთი ჯგუფები, სადაც კონკრეტულ სასწავლო კომპონენტზე დარეგისტრირებულია 10 სტუდენტზე მეტი. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ანალიზის შედეგად მიღებული ისეთი საყურადღებო შემთხვევა, როდესაც საჭირო ხდება მიზეზების კვლევა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება. დაკვირვება ხორციელდება ყოველწლიურად და დაკვირვების შედეგების სამწლიანი დინამიკაზე დაკვირვებით პროგრამის სამუშაო ჯგუფი იწყებს მიზეზების კვლევას და კელვის შედეგებზე რეაგირებას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირ მეთოდად გამოიყენება კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

როგორც თვითშეფასების ანაგრიშიდან ირკვევა, დაწესებულებამ უკვე განახორციელა წარმოდგენილი მექანიზმებით მოქმედი პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება. პროგრამას დანართის სახით თან ახლავს უკვე შეფასებული პროგრამის შედეგები და შესაბამისი ანალიზი. ამდენად, დაწესებულების დასაბუთება ეყრდნობა უკვე არსებულ გამოცდილებას.

აღნიშნული მიგნებებისა და აღწერილობებზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სწავლის შედეგების მექანიზმი არის თანმიმვდერული, კომპლექსური და პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული მექანიზმი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმი;

- პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- თვითშეფასება;
- ინტერვიუს შედეგები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და	X			

მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს ევროპის უნივერსიტეტში „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარე-ბისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების (შესაბამისი ტიპის ტესტის) შედეგების საფუძველზე, ან შიდა/გარე მობილობის საფუძველზე („უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანება), ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ, 2011 წლის 29 დეკემბერი). ევროპის უნივერსიტეტში „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია: შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა, რომელიც ტარდება **სპეციალობასა და ინგლისურ ენაში.** კანდიდატმა უცხო ენაში გამოცდის ჩაბარებისას უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. ინგლისური ენის ცოდნის დონის დადგენა ხორციელდება ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის შესაბამისად. კანდიდატს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის დადასტურება შეუძია ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენით (CEFR B2; IELTS emax - 5, BEC exam and CELS exam – Vantage; Cambridge exam – FCE; Pritman ESOL International; TOEIC – 600; TOEFL -510 (paper - based), 173 (computer - based), 61 (internet - based)), ასევე, ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს კანდიდატის მიერ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის დასრულება (საქართველოში ან საზღვარგარეთ), რომელიც უნდა დადასტურდეს დოკუმენტურად. პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად. აღნიშნული პირები არ თავისუფლდებიან

შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებისგან (სპეციალობასა და ინგლისურ ენაში-B2 დონე).
მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.
წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის საჯარო და ხელმი-საწვ-დომია და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.eu.edu.ge), ასევე, ვებ-გვერდზე, **არანაკლებ სამი თვით ადრე, განთავსებულია** შიდასაუნივერსტეტო გამოცდის საკითხები და გამოსაცდელ პირთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები.
თვითშეფაების ანგარიშში და დოკუმენტაციაში არ იყო წარმოდგენილი შიდა საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდიების ფორმატი, შესაბამისი საგამოცდო მასალები (საკითხები, შეფასების ინსტრუმენტები) და წყაროები, თუმცა პროგრამის ხელძღვანელთან ინტერვიუების დროს ნაწილობრივ დაზუსტდა აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში ინფორმაცია, კერძოდ, აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე შიდა გამოცდა სპეციალობაში ჩატარდება კანდიდატებთან გასაუბრების ფორმატში. საგამოცდო საკითხებში ძირითადი ადგილი დათმობილი ექნება საკანონმდებლო აქტების ცოდნას, შეფასდება კონკურსანტის ანალიტიკურ მიდგომა, მსოფლმხედველობა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით მოითხოვა სხვა მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამის (ბიზნესის ადმინისტრირება) მაგალითზე შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებისთვის საჭირო მასალები, შეფასების კრიტერიუმები. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამაზე სპეციალობაში შიდა გამოცდის ფორმატი იყო წერითი. მიუხედავათ იმისა, რომ პროგრამა ახალია, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ უსდ-მ დროულად შეიმუშაოს და ჩამოაყალიბოს სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ძირითადი საკითხების ჩამონათვალი, შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, გამოცდის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ თვითშეფასების ანგარიში.
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები (რექტორის ბრძანება №65, 16.03.2020).
- სამაგისტრო პროგრამა „განათლების ადმინისტრირება“.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.eu.edu.ge).
- ინტერვიუები ხარისხის მართვის სამსახურის, ადმინისტრაციის, თვითშეფასების ჯგუფის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ნაწილში დაზუსტდეს და დეტაურად გაიწეროს სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ძირითადი საკითხების ჩამონათვალი, შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, გამოცდის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების“ შესაბამისად.

პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულია: საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის საბჭო, პროგრამის კომიტეტი, მმართველი საბჭო, პერსონალი, დაინტერესებული მხარეები (პროგრამის განმახორციელებელი აკადმიური და მოწვეული პერსონალი), ხარისხის უზრულველყოფის სამსახური. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელი დაინტერესებული მახრეებისა და პერსონალის ჩართულობით, ასევე, პროგრამის კომიტეტზე განხილვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო კავშირში ახდენს პროგრამის შემუშავებას. სამაგნამანათლებლო პროგრამა წარედგინება ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს განხილვის შემდგომ პროგრამა გადაეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ამზადებს პროგრამის აკრედიტაციის შესაბამისობასთან შეფასების შესახებ დასკვნას. აღნიშნული დასკვნისა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე მმართველი საბჭო ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის

დამტკიცებას.

სამაგისტრო პროგრამა „განათლების ადმინისტრირების“ აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის იმ აკადემიურ დატვირთვას, რაც საჭიროა და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა ორი აკადემიურ წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 ECTS. სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი=750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა. სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: ლექციებს, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, აქტივობებისა და საშინაო დავალებებისთვის მომზადებას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას.

სამაგისტრო პროგრამის „განათლების ადმინისტრირების“ სტრუქტურა შემდეგია: 90 ECTS - სასწავლო კომპონენტი, 30 ECTS - კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი).

სასწავლო კომპონენტი მოიცავს: ა. 70 ECTS -ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კომპონენტი (მ.შ. 6 კრედიტი პრაქტიკის კომპონენტია); ბ. 15 ECTS - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კომპონენტი; გ. 5 ECTS- თავისუფალი კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს ნებისმიერო სასწავლო კურსი შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით.

საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილი არჩევითი სასწავლო კურსები (46 ECTS) ძირითადად მიმართულია სფეროსთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების გაღრმავებისკენ. მისი არჩევა მაგისტრანტს შეუძლია, საკუთარი სასწავლო/კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე 15 ECTS -ის მოცულობით.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით ლოგიკურად განსაზღვრულია პროგრამის კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, კომპონენტების თანმიმდევრობა, სასწავლო კურსების, კრედიტების სემესტრული განაწილება, სტუდენტის სემესტრული დატვირთვა.

პროგრამის სტრუქტურა და მის შინაარსი უზრუნველყოფს დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპიროებები მნიშვნელოვანია კვლევითი უნარებზე ორიენტირებულ საგნებისთვის, რომლებიც პროგრამაში თანმიმდევრულად არიან წარმოდგენილნი.

ინტერვიუებით დადგინდა, რომ პროგრამის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე (სტუდენტები და კურსდამთავრებულები, განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები). მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია მათი რეკომენდაციები. ამდენად, დგინდება, რომ სასწავლო გეგმა შემუშავებულია მათთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე.

მთლიანობაში, პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების შესრულების საფუძველზე სტუდენტი შეიძენს სფეროს სიღრმისეულ და სისტემურ ცოდნას, განუვითარდება აღნიშნულ სფეროში წამოჭრილი კომპლექსური პრობლემების ანალიზის, გადაჭრის, დამოუკიდებლი კვლევის უნარები. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ექსპერთა ჯგუფა გარკვეული კითხვები გაუჩნდა პროგრამის სტრუქტურასა და შინაათსთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ შეეხებოდა მენეჯმენტის მიმართულების სასწავლო კურსების გათვალისწინებას სავალდებულო საგანთა ნუსხაში. პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ და

მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსები მოიცავს აღნიშნული საკითხების შესწავლას და ბიზნესის ადმინისტრირების, კერძოდ, მენეჯმენტის თემები გადანაწილებულია წარმოდგენილი სასწავლო სილაბუსებში (ლიდერობა, განათლების პოლიტიკა და ცვლილებების მართვა, განათლების სისტემის ადმინისტრირება და განვითარება).

მიუხედავათ წარმოდგენილი განმარტებებისა, ექსპერტთა ჯგუფს აქვს გარკვეული რჩევები პროგრამის განვითარებისთვის, რომელიც შეეხება პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებების ბლოკის გაძლიერებას და სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობებს, კერძოდ, სასურველია სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსებიდან „საგანმანათლებლო დაწერებულებებში ადამინური რესურსების მართვა“. აღნიშნული კურსი მოიცავს მნიშვნელოვან თემებს (ადამიანურ რესურსების მართვის თანამედროვე მოდელების ანალიზს, საკადრო პოლიტიკის მნიშვნელოვან ასპექტები, პერსონალის მარკეტინგს, პერსონალის შერჩევის ორგანიზებას და სხვა), რომელსაც წარმოდენილი სასწავლო კურსები ვერ ფარავს, ამდენად, მისი განხილვა მნიშვნელოვანი იქნება პროგრამის გაძლიერებისთვის; 2. სასურველია გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ, ა. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში პროფესიულ პრაქტიკაზე (პროფესიული პრაქტიკები: უმაღლეს საგანმანათლებლო, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში) დაშვების წინაპირობაა სასწავლო კურსი „პრაქტიკის კვლევა და დაკვირვება“. მიგვაჩნია, რომ პრაქტიკის გავლის წინაპირობები უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეული სავალდებული სასწავლო კურსებში კრედიტების დაგროვებას და არამარტო ერთი სავალდებულო კურსის გავლას; ბ. სასურველია სავალდებულო სასწავლო კურსს „პრაქტიკის კვლევა და დაკვირვება“ წინაპირობად განესაზღვროს „კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები განათლებაში“, ვინაიდან პრაქტიკის კვლევისთვის მნიაშვნელოვანია კვლევის მეთოდების ფლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამის „განათლების ადმინისტრირების“ თვითშეფასების ანგარიში.
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები (რექტორის ბრძანება №65, 16.03.2020).
- სამაგისტრო პროგრამა „განათლების ადმინისტრირება“.
- სამაგისტრო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ სასწავლო გეგმა, დანართი №5.
- სამაგისტრო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ სილაბუსები.
- დაინტერესებული მხარეების გამოკოთხვის შედეგების ანალიზი, პროგრამის გამოკითხვის პროცესში მათი გათვალისწინება - გამოყენების ანგარიში, განათლების ადმინისტრირების საგანმანათლებლპ პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები.
- ინტერვიუ (დისტანციური) პროგრამის ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის გაძლიერებისთვის სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსებიდან „საგანმანათლებლო დაწერებულებებში ადამინური

რესურსების მართვა“.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ ფარგლებში შემოთავაზებული ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და შესაბამისად უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას. წარმოდგენილი სასწავლო კურსები უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის განათლების სფეროს შესახებ სრულყოფილი ცოდნის მიღებას, პრობლემატიკის ანალიზს, კვლევითი უნარების გამომუშავებას, სტუდენტი შეიძენს აკადემიური პატიოსნების ღირებულებებს და განივითარებს ცოდნის გაფართოების უნარს. წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში განსაზღვრული სასწავლო კურსებით მისაღწევი საწავლის შედეგი იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას **მაღალი, საშუალო, თუ დაბალი ხარისხით.** პროგრამის სასწვალო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგები შესაბამისია მის შინაარსთან და საფეხურთან. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ადექვატურია სილაბუსის თემატიკის და უზრუნველყოფს სტუდენტებს საჭირო ინფორმაციით. სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა თანამედროვეა, მარავალმხრივია, ეფუძნება სფეროს

აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნების სწავლის შედეგები შესაბამისო-ბაშია აღნიშნული სასწავლო კომპონენტების შინაარსთან, პროგრამის სწავლის შედეგებთან და უმაღ-ლესი განათლების შესაბამის საფეხურთან, რასაც ადასტურებს უნივერსიტეტის მიერ წარმოდ-გენილი სწავლის შედეგების რუკა. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი ძირითადად შეესაბამება სასწავლო კურსით გათვალისწინებულ შედეგებს.
სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. წარმოდგენილი სასწავლო კურსების საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მოცულობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. საათები განაწილებულია სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. კერძოდ, სასწავლო კურსების, რომლებიც საჭიროებენ ლექტორთან მეტ კომუნიკაციას, დამოუკიდებელ საათებთან შედარებით, ითვალისწინებენ მეტ საკონტქტო საათს, ხოლო სასწავლო კურსები, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, საკონტაქტო საათების უმეტესობა ეთმობა სამუშაო ჯგუფში მუშაობის (პრაქტიკული მეცადინეობის) საათებს.
სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია სწავლება-სწავლის ადეკვატური მეთოდები და აქტივობები, რომელიც ასევე წარმოდგენილია სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკაში. იგი იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სწავლების რომელი მეთოდი/აქტივობა უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას მაღალი, საშუალო თუ დაბალი ხარისხით.
ამდენად, სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტთა ჯგუფს აქვს გარკვეული რჩევები, კერძოდ, სასურველია გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსების სილაბუსი, რომელთა **სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი** მოცულობითია და მოხდეს გამოყენებული მასალის ოპტიმიზაცია (მაგალითად, სასწავლო კურსები: „განათლების სისტემის ადმინისტრირება და განვითარება“ (19 ერთეული.....), „საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების მოდელები და ბიუჯეტირების საკითხები“ (15 ერთეული....), განათლების საკანონმდებლო ბაზა 2 (26 ერთეული.....). ასევე, დაზუსტებას მოითხოვს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტარატურა: 1. სასწვალო კურსში „განათლების ფილოსოფია და სწავლა-სწავლების თეორები“ წარმოდგენილია სავალდებულო ლიტერატურა „ვ. ჰესენი, პედაგოგიური თეორიის საფუძვლები, გამოყენებითი ფილოსოფიის შესავალი“, როლელსაც არ აქვს მითითებული გამოცემის წელი; 2. სასწავლო კურსში „კურიკულუმის დიზაინი და სწავლის შედეგების შეფასება“ სილაბუსში წარმოდგენილია სავალდებულო ლიტერატურა „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“, რომელსაც არ აქვს მითითებული ავტორი, გამოცემის წელი. 3. სასწავლო კურსებში „განათლების სისტემის ადმინისტრირება და განვითარება“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების მოდელები და ბიუჯეტირების საკითხები“ სავალდებულო ლიტარატურად გამოყენებულია ერთი და იგივე წყარო - **„დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის“,** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2010. აღნიშნული სახელმძღვანელო მოიცავს ორივე კურსის შინაარსის შესაბამის საკითხებს და თემებს, თუმცა მეტი სიცხადისთვის, სასურველია, სილაბუსში იყოს მითითებული კურსების შესაბამისად, აღნიშნული წყაროდან გამოყენებული შესაბამისი გვერდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამის „განათლების ადმინისტრირების“ თვითშეფასების ანგარიში.
- სამაგისტრო პროგრამა „განათლების ადმინისტრირება“.
- სამაგისტრო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ სილაბუსები.
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების,

ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები (რექტორის ბრძანება №65, 16.03.2020).

- სამაგისტრო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ სასწავლო გეგმა, დანართი №5.
- სამაგისტრო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ სწავლის შედეგების შეფასება, დანართი №4.
- სწავლა სწავლების მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, დანართი №3.
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, დანართი №2.
- ინტერვიუ (დისტანციური) პროგრამის ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და განხორციელდეს სავალდებულო ლიტერატურის ოპტიმიზაცია და დამატებით ლიტერატურულ მასალებში მათი გადანაწილება;
- სასწავლო კურსებში „განათლების სისტემის ადმინისტრირება და განვითარება“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების მოდელები და ბიუჯეტირების საკითხები“ სავალდებულო ლიტარატურად გამოყენებულია ერთი და იგივე წყარო - „დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2010. სილაბუსში უნდა უნდა იყოს მითითებული კურსების შესაბამისად, აღნიშნული წყაროდან გამოყენებული შესაბამისი გვერდები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას, ასევე მათ ჩართვას კვლევით პროექტებში.

პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულია და დაგეგმილი სასწავლო შედეგების შესაბამისად. აღნიშნული კომპონენტი წარმოდგენილია როგორც ცალკეულ სასწავლო კურსებში გარკვეული მოცულობით ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტის, ასევე, დამოუკიდებელი სასწავლო კომპონენტის (პროფესიული პრაქტიკის) სახით. კერძოდ, სასწავლო კურსებში ძირითადი საათობრივი დატვირთვა ეთმობა პრაქტიკულ მუშაობას და შემდეგ აქტივობებს: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პრაქტიკულ სავარჯიშოებზე მუშაობა, შემთხვევის შესწავლა, კაზუსის ამოხსნა, სიტუაციურ ამოცანებზე მუშაობა, ჯგუფური მუშაობა. ზოგიერთ სასწავლო კურსში გათვალისწინებულია სწავლების და შეფასების ისეთი მეთოდები როგორიც არის წყაროზე მუშაობა და წერითი მუშაობა, რეფერატი, შემთხვევის ანალიზი და ა.შ., რომელიც ხელს უწყობს სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარებას. ყოველივე აღნიშნული სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს გამოიმუშაოს სპეციფიკური პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც საფუძველს შეუქმნის კურსდამთავრებულს მოახდინოს რეალურ სამუშაო გარემოში ადაპტირება.

პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში მნიშვნელოვანია პროგრამაში წარმოდგენილი პროფესიული პრაქტიკის კურსი(6 ECTS). რომელიც მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლესი განათლების საფეხურებს. პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. აღნიშნული უზრუნველყოფილია პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმების საშუალებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ხელშეკრულებები გაფორმებულია პრაქტიკის 21 ობიექტთან, მ.შ. 14 - ზოგადსაგანმანათლებლო, 4 - პროფესიულ და 2 - უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებასთან. მემორანდუმებით განსაზღვრულია სემესტრის/აკადემიური წლის განმავლობაში პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და მხარეთა ვალდებულებები. პრაქტიკას ობიექტზე ხელმძღვანელობს მენტორი, ასევე შესასრულებელი სამუშაოების ზედამხედველობას ახორციელებს უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი პრაქტიკის ხელმძღვანელი. სტუდენტის (მაგისტრი) პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში გამომუშავებული სწავლის შედეგები ფასდება მენტორის, პრაქტიკის ხელმძღვანელისა და პრაქტიკის დაცვის კომისიის მიერ.

პროგრამა სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარების მიზნით ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს, კერძოდ, კვლევითი ხასიათის სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას (30 ECTS), რომლის შესრულების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსების გავლა. სამაგისტრო ნაშრომი აჯამებს მაგისტრანტის კვლევით უნარებს, წარმოაჩენს სტუდენტის მიერ კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, სამეცნიერო ხასიათის ტექსტის მომზადების, გაფორმების, საჯაროდ წარდგენისა და დაცვის უნარ-ჩვევებს. ნაშრომი ახდენს სწავლის პერიოდში მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკულ გამოცდილების სისტემატიზებას, ავლენს კვლევითი მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობის ცოდნასა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარს.

სამაგისტრო ნაშრომი სრულდება ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებული „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესით“. მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომს ასრულებს ინდივიდუალურად და ითვალისწინებს ხელმძღვანელის მითითებებს. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებია როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ სწავლების სფეროს ღრმა თეორიული ცოდნა ან/და ამ სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. ნაშრომმა უნდა გაიაროს პლაგიატთა დაკავშირებით შემოწმება, რომელიც ხორციელდება პროგრამით „Turnitin“. ამ პროცესს არეგულირებს ევროპის უნივერსიტეტის მიერ მიღებული რეგულაცია „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები“. სტუდენტებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალის აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის საკითხების შესახებ ინფორმაციას დაწესებულება აწვდის რეგულარულად, კონკრეტული ღონისძიებების ფარგლებში (ტრეინინგები). ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტში არსებული „სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი“. სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ ისინი აღნიშნული ტიპის ღონისძიებებში აქტიურად არიან ჩართულები და კმაყოფილებას გამოთქვამენ უნივერსიტეტის მიმართ გაწეული მუშაობისთვის. ასევე, აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მისი პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად სტუდენტებს სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია საინფორმაციო შეხვედრების, ვორქშოფების და სხვა სახის ღონისძიებების ორგანიზებით.
მნიშვნელოვან როლს სტუდენტისთვის სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებაში ასრულებს უსდ-ში არსებული „სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი“. **სტუდენტებთან და აკადმირუ პერსონალთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები აღნიშნული ცენტრის ინიცირებით განხორციელებულ სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამის „განათლების ადმინისტრირების“ თვითშეფასების ანგარიში.
- სამაგისტრო პროგრამა „განათლების ადმინისტრირება“.
- სამაგისტრო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ სილაბუსები.
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი (რექტორის ბრძანება №61, 13.03.2020).
- სამაგისტრო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ სასწავლო გეგმა, დანართი №5.
- სამაგისტრო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ სწავლის შედეგების შეფასება, დანართი №4.
- სწავლა სწავლების მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, დანართი №3.
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, დანართი №2.
- „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების

პროცედურები და მექანიზმები“ (რექტორის ბრძანება №63, 13.03.2020). ○ წარმოდგენილი დოკუმენტი: სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ანგარიში ჩატარებული ტრენინგების შესახებ. ○ წარმოდგენილი დოკუმენტი: სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ანგარიში ევროპის უნუვერისტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით ჩატარებული ტრენინგების შესახებ 2020-2021 აკადემიური წელი. ○ წარმოდგენილი დოკუ მენტი: ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი 2020-2021 აკადემიურ წელს განხორციელებული აქტივობების შესახებ ანგარიში. ○ ინტერვიუ (დისტანციური) პროგრამის ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების

გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის „განათლების ადმინისტირირება“ ფარგლებში გამოყენებული წავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები უზრუნველყოფენ პროგრამით დადგენილი ცოდნისა და უნარების მიღწევას, სტუდენტისთვის შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას. პროგრამით შეთავაზებული სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი თითოეული სალექციო თემა დაყოფილია როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკული ნაწილად. სასემინარო ჯგუფში მუშაობა ორიენტირებულია ლექციაზე მიწოდებული მასალის გააზრებასა და ცოდნის განმტკიცებაზე. განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისთვის შერჩეულია სფეროსთვის/სწავლების საფეხურისთვის შესაბამისი სწავლების მეთოდები და აქტივობები: **ლექცია,** რომელიც მოიცავს შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტება, ინტერაქტიული მუშაობა, აუდიო-ვიზუალური მუშაობა, დემონსტრირება; **სამუშაო ჯგუფში მუშაობა**, რომელიც გულისხმობს შემდეგ აქტივობებს: გონებრივი იერიში, დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ჯგუფური მუშაობა. სავარჯიშოებზე მუშაობა, შემთხვევის შესწავლა, კაზუსის ამოხსნა, სიტუაციურ ამოცანებზე მუშაობა, დავალებაზე დაფუძნებული სწავლება, წიგნზე (წყაროზე) მუშაობა და წერითი მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება, პრეზენტაცია, პროექტის მომზადება და/ან პროექტზე დაფუძნებული სწავლება. პროგრამის ფარგლებში, ცალკეული სასწავლო კურსების განხორციელებისას, სწავლების პროცესში გამოიყენება განათლების სფეროდან შერჩეული საილუსტრაციო **სასწავლო ქეისები**, აგრეთვე, პრობლემის ფორმირებაზე ორიენტირებული ქეისები. ასევე, სწავლების პროცესში, სააუდიტორიო მუშაობისას ინტენსიურად გამოიყენება **პრაქტიკული სიტუაციური მაგალითების განხილვა,** რაც ხელს უწყობს ცოდნის ტრანსფერს და განაპირობებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული სწავლების აქტივობების გამოყენება სტუდენტს უვითარებს ანალიტიკური აზროვნების, ჯგუფური მუშაობის, ალტერნატიული მსჯელობის, დაგეგმვის და შედეგების განჭვრეტის უნარებს. პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დადგენის და ასევე, მათი გამოყენებით სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით, პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია სწავლებისა და სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა. მაში მითითებულია მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მაღალი, საშუალო თუ დაბალი ხარისხით მიღწევას. პროგრამის ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტთან ინდივიდუალური მიდგომები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად პროგრამის ფარგლებში, თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრულია ლექტორთან დამატებითი კონსულტაციებისთვის გამოყოფილი დრო და ადგილი. საკონსულტაციო განრიგი სასწავლო პროცესის მსვლელობისას საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფებზე და სტუდენტსა და სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალს შორის მასალების საკომუნიკაციოდ ევროპის უნივერსიტეტის მიერ გამოყენებულ Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმაზე: https://moodle.edu.ge/moodle/. მონათესავე სასწავლო პროგრამის (ბიზნესის ადმინისტრირება) სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან **ინტერვიუებით დადასტურდა, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში; ტრეინინგები,**

სამეცნიერო კონფერენციები, კვლევით პროექტები, ასევე, მიმართვის შემთხვევაში, სასწავლო კურსების პედაგოგების მხრიდან ღებულობდნენ სხვადასხვა ტიპის კონსულტაციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამის „განათლების ადმინისტრირების“ თვითშეფასების ანგარიში.
- სამაგისტრო პროგრამა „განათლების ადმინისტრირება“.
- სამაგისტრო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ სილაბუსები.
- სწავლა სწავლების მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, დანართი №3.
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, დანართი №2.
- „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“ (რექტორის ბრძანება №89, 21.03.2020).
- ინტერვიუ (დისტანციური) პროგრამის ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექა-ნიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ, წინასწარ გან-საზ-ღვ-რული პერიოდულობით, სამართლიანია და შესაბამისია კანონმდებლობასთან. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვა-ნელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი, 2005.14.02); „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით (2004.21.12) და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების" დამტკიცებული წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3; 2007.05.01) განსაზღვრულია შეფასება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას: ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფით შეფასებას: ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. წარმოდგენილია შუალედური და დასკვნითი შეფასებები. შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად, მათ შორის სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომლის ხვედრით წილს სასწავლო კურსის შინაარსის, შეფასების ფორმების, მეთოდებისა და კრიტერიუმების სწავლის შედეგების გათვალისწინებით განსაზღვრავს კურსის ხელმძღვანელი.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. სტუდენტის დადებითი შეფასება განისაზღვრება შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით, რომელიც უნდა

შეადგენდეს 51 ქულას ან მეტს. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 30%, დასკვნითი შეფასების 50%.

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდები ობიექტური და გამჭვირვალეა, ორიენტირებულია სასწავლო კურსის მიზნებსა და სპეციფიკაზე და ემსახურება სტუდენტის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, შუალედური და დასკვნითი შეფასებებისას გამოყენებულია შეფასების შემდეგი მეთოდები: ზეპირი გამოკითხვა, ქვიზი, პრეზენტაცია, დისკუსია/დებატები, შემთხვევის ანალიზი, კაზუსის ამოხსნა, ტესტი (ღია, დახურული ან კომბინირებული), ესსე, სავარჯიშო, რეფერატი, პროექტი.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის, კერძოდ, სილაბუსების დეტალები სტუდენტს სასწავლო კურსის დაწყებისთანავე ეცნობება და მიეწოდება, ასევე, სასწავლო კურსის სილაბუსები ხელმისაწვდომია სტუდენტსა და სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალს შორის მასალების საკომუნიკაციოდ ევროპის უნივერსიტეტის მიერ გამოყენებულ Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმაზე (https://moodle.edu.ge/moodle/), ასევე, ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ პლატფორმაზე (სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა: https://eunsis.eun.edu.ge/).

სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას. შუალედური შეფასების შედეგები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია დასკვნით გამოცდამდე. მათ აქვთ შესაძლებლობა გაიგონ შედეგები და მიიღონ ინფორმაცია დაშვებული ხარვეზების შესახებ. სტუდენტის შეფასების პროცედურები გამჭვირვალეა და სამართლიანია. საგამოცდო ნაშრომების შეფასებისას სტუდენტის სახელი და გვარი ანონიმურია, რაც განაპირობებს ობიექტურ შეფასებას. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გაასაჩივროს მიღებული შეფასება, რომელსაც არეგულირებს უსდ-ში მოქმედი „საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი“. აღნიშნული წესით სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა, წესით დადგენილ ვადაში, მიმართოს საგამოცდო ცენტრს მის მიერ შესრულებული საგამოცდო ნაშრომის გაცნობის მიზნით, ხოლო სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორს საგამოცდო ნაშრომის განხილვის მიზნით. თუ სტუდენტი ჩათვლის, რომ მის მიერ შესრულებული ნაშრომი შეფასებულია არაობიექტურად, ის უფლებამოსილია იმავე დღეს წერილობითი განცხადების საფუძველზე გაასაჩივროს მიღებული შეფასება. საგამოცდო ცენტრი ვალდებულია, განაცხადის/საჩივრის მიღების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს დეკანს სააპელაციო კომისიის შექმნის საჭიროების შესახებ. ცენტრი ვალდებულია, განაცხადის/საჩივრის მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, გააცნოს სტუდენტის ნაშრომი სააპელაციო კომისიას. სააპელაციო კომისია ვალდებულია, 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში განიხილოს სტუდენტის ნაშრომი; მიღებული შედეგის ცვლილების ან იმავე შეფასების დატოვების შემთხვევაში, სააპელაციო კომისია წარუდგენს საგამოცდო ცენტრს დასაბუთებულ დასკვნას. სააპელაციო კომისიის შემადგენლობას, ფაკულტეტის დეკანი წერილობითი ფორმით წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად. სააპელაციო კომისიის დასკვნა საბოლოოა და აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში.

სტუდენტთა შეფასებებს დაწესებულება იყენებს პროგრამის ფარგლებში არსებული გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებისა და ცვლილებების განხორციელებისთვის, რათა მიაღწიონ უკეთეს შედეგს. კერძოდ, მიმდინარეობს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი (სტუდენტთა შეფასებების შესწავლა, დინამიკაში დაკვირვება და გაანალიზება). მიღებული შედეგების შესაბამისად მოსალოდნელია ცვლილებები განხორციელდეს პროგრამის კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების მიმართებაში; შესაძლებელია ცვლილებები მოხდეს პროგრამის კომპონენტის კრედიტებისა და შესაბამისად

კომპონენტისთვის გამოყოფილი სამუშაო საათების მხრივ და სხვა. **კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ სტუდენტები დროულად ღებულობენ ინფორმაციას შეფასებების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში სწრაფია რეაგირება პედაგოგისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან**. რაც შეეხება, სამაგისტრო ნაშრომს, მისი შეფასება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების შესაბამისად ხდება ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით (სამაგისტრო ნაშრომის დაცვა), შეფასებას ახორციელებს ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე, ევროპის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია. კომისიის მიერ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების და შეფასების სხვა დეტალების შეახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამის „განათლების ადმინისტრირების“ თვითშეფასების ანგარიში. ○ სამაგისტრო პროგრამა „განათლების ადმინისტრირება“ ○ სამაგისტრო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ სილაბუსები; ○ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი, (რექტორის ბრძანება№61, 13.03.2020) ○ სამაგისტრო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ სასწავლო გეგმა, დანართი №5. ○ სამაგისტრო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ სწავლის შედეგების შეფასება, დანართი №4. ○ სწავლა სწავლების მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, დანართი №3. ○ პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, დანართი №2. ○ „საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი“ (რექტორის ბრძანება №62, 13.03.2020). ○ ინტერვიუ (დისტანციური) პროგრამის ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		x		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინტერვიუებში მონაწილეობდნენ მომიჯნავე პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომლებსაც განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის შემუშავებაში არ მიუღიათ მონაწილეობა, შესაბამისად ინტერვიუები წარიმართა ზოგადად უნივერსიტეტში არსებული გარემოს შეფასების მიზნით. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით სტუდენტთა კონსულტირებას ევროპის უნივერსიტეტში ახორციელებენ ფაკულტეტის თანამშრომლები,კერძოდ, დეკანი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. ფაკულტეტის თანამშრომლები უზრუნველყოფენ სტუდენტთა ინფორმირებას და კონსულტირებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ. სტუდენტები ყოველი სემესტრის დასაწყისში უნივერსიტეტის მხირდან ინიცირებულ საინფორმაციო შეხვედრებს ესწრებიან , სადაც მათ მიეწოდებათ ყველა საჭირო ინფორმაცია სასწავლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის მართვის შესახებ , ასევე ისინი ფლობენ სრულ ინფორმაციას უნივერსიტეტის სერსვისების შესახებ. სტუდენტებისთვის ინფორმაციის გაზიარება ხდება სხვადასხვა წყაროების მეშვეობით : უნივერისტეტის ვებ გვერდი , ელექტრონული ბაზები, ელექტრონული ფოსტა , სოციალური ქსელი და სხვა.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი: სტუდენტები და კურსდამთავრებულები უნივერსიტეტში არსებული სერვისებითა და მომსსახურებით, დიდ კმაყოფილებას გამოხატავდნენ. მათ ინფორმაციის მიწოდებისა და ადმინისტრაციასთან ურთიერთობის კუთხით, არანაირი პრობლემა არ აქვთ, ასევე უნივერსიტეტში მუშაობს ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა (https://eunsis.eun.edu.ge/), რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია ყოველი სემესტრის დასაწყისში.
ასევე ამ პლატფორმის მეშვეობით სტუდენტებს აქვთ წვდომა, კურსების სილაბუსებსა და ცხრილზე , ასევე ამ პლატფორმის მეშვეობით იღებენ სიახლეებს, სემესტრის დასაწყისიდან დასრულებამდე მათ აქვთ საშუალება თვალი ადევნონ, თავიანთ აკადემიურ მოსწრებას.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან საუბრისას გაირკვა, რომ უნივერსიტეტი მათ აძლევს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ კონფრენციებსა და გაცვლით პროექტებში.
გამოკითხულ სტუდენტთა შორის, აღმოჩნდნენ ისეთი სტუდენტებიც, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გაცვლით პროგრამასა და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში. ისინი ამ კუთხით დიდ კმაყოფილებას გამოხატავდნენ. ევროპის უნივერსიტეტში 2018-2019 აკადემიური წლიდან ფუნქციონირებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი. ცენტრი შეიქმნა სტუდენტთა დასაქმებისა
და კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, თუმცა სტუდენტთა მხრიდან აქტიურობა ამ ცენტრთან თანამშრომლობის დიდად არ გამოკვეთილა. ინტერვიუერებმა აღნიშნეს, რომ ისინი ხშირად იღებენ შეტყობინებებს დასაქმების შესაძლებლობის კუთხით, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ისინი თავად არ არიან დაინტერესებული მიღებული შემოთავაზებებით.
ზოგადად, სტუდენტები აღნიშნავენ რომ უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტებისადმი კეთილგანწყობილი გარემო და ძალიან კმაყოფილები არიან უნივერსიტეტის სერვისებითა და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოკითხვის შედეგები
- ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ევროპის უნივერსიტეტის დებულება
- ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის წესი
- ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო
- სისტემა: https://eunsis.eun.edu.ge/
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://eu.edu.ge/ge ;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. უნივერსიტეტში მოქმედებს სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის წესი.

მტკიცებულებად წარმოდგენილმი მოწვეული და აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების, მათთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი არის კვალიფიციური სფეროში, მათ აქვთ შესაბამისი თეორიული ცოდნა და გამოცდილება დარგში, რაც ქმნის იმის წინაპირობას, რომ მათ შესწევთ უნარი გაუწიონ ხელმძღვანელობა სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომების წერის პროცესში.

სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი წარმოადგენს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტის მიერ შესრულებულ კვლევითი ხასიათის ნაშრომს, რომელიც აჯამებს მაგისტრანტის კვლევით უნარებს, წარმოაჩენს სტუდენტის მიერ კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, სამეცნიერო ხასიათის ტექსტის მომზადების, გაფორმების, საჯაროდ წარდგენისა და დაცვის უნარებს;

სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი სრულდება წინამდებარე წესით დადგენილი ზოგადი მოთხოვნებისა და შესაბამისი პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სილაბუსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაცვით;

სამაგისტრო ნაშრომს/პროექტს მაგისტრანტი ასრულებს ინდივიდუალურად, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით;

სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვას მაგისტრანტი ახდენს დეკანის წარდგინების საფუძვლეზე ევროპის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წინაშე.

სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა ხდება თავად სტუდენტების მიერ და მათ ამ კუთხით სრული თავისუფლება ეძლევათ. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ნაშრომის წერის პროცესი ორივე მხარის კონსტრუქციული თანამშრომლობით მიმდინარეობს, ხელმძღვანელები გარკვეული ინტენსივობით ხვდებიან სტუდენტებს და აძლევენ უკუკავშირს და კონსულტაციას თემატიკებზე.

სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ფასდება ერთჯერადად იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტის წარმატებით შესრულების შემთხვევაში, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასების (51-100 ქულა) მიღებით, კურსდამთავრებულს ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისიწინებული კრედიტი სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტში. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა ხდება იმავე ან მომდევნო სემესტრში არაუგვიანეს მე-16 კვირისა; სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი წერს დასკვნას ნაშრომის შესრულების შესახებ და განსაზღვრავს ნაშრომის რეცენზენტისთვის გადაცემის საკითხს არაუგვიანეს მე-16 კვირისა; სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომს/პროექტს რეცენზენტისთვის წარდგენამდე ამოწმებს პლაგიატზე; სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი მოწმდება პლაგიატის ელექტრონული პროგრამით ,,Turnitin"; ხელმძღვანელი უფლებამოსილია პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ერთხელ დაუბრუნოს ავტორს ნაშრომი/პროექტი და მისცეს რეკომენდაციები; სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის საბოლოო ვერსიაში პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში ნაშრომი არ ფასდება და მაგისტრანტს ერთმევა იმავე ნაშრომის გადამუშავების და წარდგენის უფლება;

ინტერვიუების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ ნაშრომის არჩევამდე ჩაუტარდათ საინფორმაციო შეხვედრა, სადაც გააცნეს ნაშრომზე მუშაობის ზემოთ ხსენებული ყველა ძირითადი საკითხი.

ერთი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ შესაძლებელია ერთდროულად მაქსიმუმ 3 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს:

ა) ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი;

ბ) მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცალკეული პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელად შეიძლება დაშვებულ იქნას განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებისას გამოვლინდა პერსონალოს დატვირთვის საფუძველზე, ზემოთ ჩამოთვლილი ყველა საკითხი დადასტურდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულია ევროპის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის N84 ბრძანებით). მეთოდოლოგიის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა გამოითვლება პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში ჩასატარებელი საათებისა და პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. საგანმანთლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში ჩასატარებელი საათების მინიმუმ 60%-სავალდებულოა კითხულობდეს აკადემიური პერსონალი. აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილებულია მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, (პროგრამაზე სტუდენტთა დაგეგმილი მისაღები რაოდენობის გათვალისწინებით), რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად

განხორციელებას.
აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი დიპლომებით, სერტიფიკატებით, ნაშრომებით, პუბლიკაციებით, პრაქტიკული გამოცდილებით. განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 21 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ შორის 14 აკადემიური პერსონალი და 7 მოწვეული პერსონალი. აკადემიურ პერსონალს შორის 2 პროფესორია (ორივე აფილირებული), 5 ასოცირებული პროფესორი (მათ შორის 2 აფილირებული), 6 ასისტენტ-პროფესორი (მათ შორის 5 აფილირებული) და 1 ასისტენტი (აფილირებული). უნივერსიტეტში თითოეულ თანამდებობას განსაზღვრული აქვს სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რის მიხედვითაც ხდება მათი დაქირავება. პერსონალის შერჩევის წესი განსაზღვრავს დაქირავების პროცედურებს, სამუშო აღწერილობები კი საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი „პერსონალის შერჩევის წესის“ (დამტკიცებულია ევროპის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის N86 ბრძანებით) მიხედვით.
აღნიშნული პროგრამის შემუშავების პროცესში ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის გადაწყვეტილებით ჩატარდა 1 აკადემიური კონკურსი (რექტორის ბრძანება N3254, 2021 წელი), რომლის ფარგლებში შეირჩა 2 ასოცირებული პროფესორი განათლების ადმინისტრირების მიმართულებით. ასევე, ხელშეკრულება გაფორმდა 6 მოწვეულ ახალ პერსონალთან. ვინაიდან ფაკულტეტისთვის პროგრამა ახალია განხორციელდა როგორც პერსონალის მოძიება-დაქირავება, ისე შიდა რესურსის, სხვა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის გამოყენება შესაბამისი კვალიფიკაციის დადასტურების საფუძველზე.
პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა შემუშავებულია განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისფარგლებში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის გადანაწილება ხორციელდება ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად.მათი დატვირთვა ითვალისწინებს სტუდენტებთან საკონსულტაციო საათებსაც, კერძოდ, 2 საათს კვირაში.
საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით შექმნილია პროგრამის კომიტეტი, რომლის წევრები შერჩეულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან. პროგრამის შემუშავების პროცესში პერსონალის მუდმივი და აქტიური ჩართულობა დადასტურდა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიურებისას. პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო გეგმის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ შეფასების მიზნით ჩატარებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გამოკითხვა. პროგრამის ხელმძღვანელისა და კომიტეტის მიერ გაანალიზებულია გამოკითხვის შედეგები და პერსონალისგან მიღებული რჩევები რიგ შემთხვევებში გათვალისწინებულია.
განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი.. იგი ევროპის უნივერსიტეტში იკავებს ასოცირებული პროფესორის პოზიციას და აღნიშნული სასწავლო პროგრამის ფარგლებში გაუძღვება რამდენიმე სასწავლო კურსს. ბოლო 5 წლის მანძილზე იგი გახლდათ 3 წიგნის თავის თანაავტორი და 1 წიგნის ავტორი, ასევე, 2 სტატიის თანაავტორი და 1 ავტორი. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული სამეცნიერო პუბლიკაციები უშუალოდ ეხმიანება განათლების ხარიხის ამაღლების კვლევას და ადმინისტრირების პრაქტიკულ გამოცდილებას. პროგრამის ხელმძღვანელის აკადემიური ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და მისი პროფესიული განვითარების გზა საშუალებას იძლევა ითქვას, რომ მას გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება.
პროგრამების შემუშავებისა და განვითარების გარდა, პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის განხორციელების პროცესში, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად ახდენს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების მონიტორინგს.

ასევე, მუდმივადაა ჩართული სტუდენტთა კონსულტირების, არაფორმალური აქტივობების ორგანიზება-ჩატარების პროცესში.
პროგრამის სტუდენტები, უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, კერძოდ, კერძოდ, ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი (2 თანამშრომელი), ბიბლიოთეკა (2 თანამშრომელი), საგამოცდო ცენტრი (3 თანამშრომელი), საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური (2 თანამშრომელი), ჯამში 12 ადმინისტრაციული პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების ადმინისტრირების სამაგსიტრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პერსონალის შერჩევის წესი
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გათვალისწინების ანგარიში
- შრომითი ხელშეკრულებები/აფილირების წესი
- მემორანდუმები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტში პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებისა და სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებით უნივერსიტეტში შექმნილია სათანადო პირობები.

ევროპის უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრი, რომელიც ზრუნავს სრულად უნივერსტიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. იმართება სემინარები, პანელური დისკუსიები, რაც საშუალებას აძლევს, ერთი მხრივ, აკადემიურ პერსონალს გაეცნოს დარგის განვითარების ტენდენციებს, სამეცნიერო კვლევებსა და დარგში მიმდინარე სიახლეებს, გაიზიაროს და გააზიაროს საუკეთესო გამოცდილება სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, სასწავლო პროცესში ასახოს თანამედროვე მიღწევები; მეორე მხრივ კი, სტუდენტებს უქმნის შესაძლებლობას პროფესურასთან აქტიური სასემინარო კონტაქტის პროცესში მიიღონ ის აუცილებელი თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზა, რაც საჭიროა როგორც დამოუკიდებელი კვლევებისათვის, ასევე უშუალოდ მათი პრაქტიკული მუშაობისათვის. უსდ-ს მიერ სისტემატიურად ხორციელდება აკადემიური პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერი ღონისძიებების ორგანიზება და დაფინანსება. აღნიშნული დადასტურდა ვიზიტის პროცესში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებდთან ინტერვიუს შედეგად.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის ხელშეწყობისა და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში გამოყოფილია სპეციალური სივრცე. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ევროპის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი მუდმივად მუშაობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, საერთაშორისო ინსტიტუციური კვლევითი საგრანტო კონკურსების, საერთაშორისო ინდივიდუალური სასტიპენდიო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიების, უნივერსიტეტის პერსონალისთვის გაზიარების მიმართულებით.

ევროპის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შესაძლებელია მიმართვის საფუძველზე დაუფინანსდეს კვლევითი პროექტები (დაფინანსების საკითხი რეგულირდება ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი „კვლევის დაფინანსების წესის“ შესაბამისად უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის N90 ბრძანებებით). ბიუჯეტით ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე გათვალისწინებული თანხა შესაძლებელია გაიზარდოს უნივერსიტეტის სტრატეგიისა და კვლევითი პრიორიტეტების გათვალისწინებით. ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს პროგრამების განმახორციელებელი და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯებს 6860 ლარის ოდენობით (რაც დასტურდება ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტით). ევროპის უნივერსიტეტში ხშირად იმართება საერთაშორისო საჯარო ვებინარები ევროპის უნივერსიტეტისა და პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორების მონაწილეობით. უნივერსიტეტში მოქმედებს ერასმუს+ მობილობის პროგრამა; საერთაშორისო კრედიტ მობილობის შეთანხმება ამ ეტაპზე გაფორმებულია 4 საზღვარგარეთის უნივერსიტეტთან: მალაგას უნივერსიტეტი (ესპანეთი), WSB უნივერსიტეტი (პოლონეთი), მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი) და ტიმიშოარას დასავლეთ უნივერსიტეტი (რუმინეთი). ამ შეთანხმებების საფუძველზე ერასმუს+ მობილობის პროგრამით 2020 წლიდან უკვე ისარგებლა 2-მა ლექტორმა და ადმინისტრაციის 2-მა თანამშრომელმა.

ხორციელდება ერასმუს+ პროექტს EU-GS (ევროპული ღირებულებებისა და სტანდარტების განვითარება ქართულ სკოლებში), რომელშიც ჩართულია განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკადემიური პერსონალი.

უნივერსიტეტში შემუშავებულია „შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 20 მარტის N83 ბრძანებით). ზემო აღნიშნული წესი, თითოეული აკადემიური პოზიციის შემთხვევაში, განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება ევროპის უნივერსიტეტში ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ: 1. განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით. 2. აკადემიური საქმიანობის მიხედვით. 3. სააუდიტორო საქმიანობის მიხედვით.

ხდება შედეგების გაანალიზება, უკუკავშირი და გათვალისწინებულია ფინანსური წახალისებაც.

ტარდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა. აკადემიური და მოწვეული პერსონალი აღნიშნული გამოკითხვის შედეგად აფასებს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უნივერსიტეტის მხრიდან მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, მართვის სტილს, ანაზღაურების საკითხებს და ა.შ. შეფასების გაანალიზებული შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჯგუფდება სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების მიხედვით. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულსა და სამსახურს (დეკანატს, ბიბლიოთეკას, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს და ა.შ.) ეგზავნება შედეგების ანალიზი და საყურადღებო საკითხები, სიღრმისეული შესწავლისა და რეაგირებისთვის. ზემო აღნიშნული გამოკითხვების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა (https://eunsis.eun.edu.ge/).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასები სწესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- შპს ევროპის უნივერსიტეტის სააუდიტორო მუშაობის შეფასების პროცედურები;
- სააუდიტორო საქმიანობის შეფასების ანგარიშები, გაცემული უკუკავშირები და შეფასების შემაჯამებელი ანგარიშები;
- პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები და საყურადღებო საკითხებზე რეაგირების ანგარიშები;
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, პუბლიკაციების სია;
- ევროპის უნივერსიტეტის კვლევის დაფინანსების წესი;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ანგარიში განხორციელებული აქტივობების შესახებ;
- ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ანგარიში პერსონალისთვის ჩატარებული ტრენინგების შესახებ;
- ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსი (გურამიშვილის გამზირი N76, ოთახი 403);
- ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა: https://eunsis.eun.edu.ge/;
- ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის ვებ-გვერდი: https://eu.edu.ge/ge/research/globalization.
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://eu.edu.ge/ge.
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განხორციელება ხდება ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში (თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზირი N76). პროგრამების განსახორციელებლად და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ევროპის უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დათვალიერება პანდემიის გამო მოხდა დისტანციურად.

საბიბლიოთეკო რესურსის განახლება მიმდინარეობს პერმანენტულად. 2021 წელს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამების წიგნადი ფონდის გამდიდრების და ელექტორონულ ბაზებზე წვდომისათვის გამოყოფილია–20000 ლარი, რაც დასტურდება 2021 წლის ბიუჯეტით.

ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ შექმნილია როგორც სამეცნიერო ბაზების, ასევე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის მოხმარების ინსტრუქციები და ეს ინფორმაცია ელექტრონული ფოსტით რეგულარულად ეგზავნება სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს. ხორციელდება საინფორმაციო შეხვედრებიც. საბიბლიოთეკო რესურსებისა და ელექტრონული ბაზების ხელმისაწვდომობის შესახებ, ინფორმაციის გავრცელების მიზნით, დაბეჭდილია საინფორმაციო ბუკლეტები.

ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე(http://esu.edu.ge/biblio/opac/index.php). კატალოგში ძიება საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს მოიძიოს ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი ლიტერატურა, ასევე არსებული ეგზემპლარის რაოდენობა, გატანილი და დარჩენილი ეგზემპლარების რაოდენობა. ელექტრონულ კატალოგში ძებნა შესაძლებელია ავტორის, სათაურის, თემატიკის მითითებით. ბიბლიოთეკა რეგულარულად აღრიცხავს მკითხველისა და სახელმძღვანელოების ბრუნვას თემატიკის მიხედვით, რაც ეხმარება განსაზღვროს კონკრეტული მიმართულებით არსებული სახელმძღვანელოების სათანადო რაოდენობა.

ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განსაზღვრულია სამუშაო დღეები და საათები. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა. უნივერსიტეტის შენობა აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი ინვენტარითა და პროგრამული უზრუნველყოფით. განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმების შედეგად, ადგილზე აღმოჩნდა. ყველა სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან/ და ბეჭდური ფორმით. ევროპის უნივერსიტეტს წვდომა აქვს შემდეგ სამეცნიერო ბაზებზე: EBSCO EP Package ELITE, eIFL, Elsevier - ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის. აღნიშნული ელექტრონული რესურსებით სარგებლობა შესაძლებელია როგორც უნივერსიტეტის შენობიდან, ისე უნივერსიტეტის შენობის გარედან. უნივერსიტეტის შენობის გარედან ბაზებზე წვდომის მისაღებად უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები მიმართავენ ბიბლიოთეკას ინდივიდუალური იუზერების და პაროლების მისაღებად. ბაზებზე შესვლისა და ნავიგაციის დეტალური ტუტორიალები ყოველი სემესტრის დასაწყისში ზიარდება უნივერსიტეტის აკადემიურ, მოწვეულ, სამეცნიერო პერსონალთან და სტუდენტებთან. სამეცნიერო ელექტრონული ბაზების სრული ჩამონათვალი და აღწერა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (https://eu.edu.ge/ge/library)....
ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ ეფექტიანი და სწრაფი კომუნიკაციისათვის მთელს უნივერსიტეტში მუშაობს ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა (https://eunsis.eun.edu.ge/), რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია ყოველი სემესტრის დასაწყისში. პლატფორმაზე ასევე, განთავსებულია მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასებები, შესაბამისად, აღნიშნული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით სტუდენტებს საშუალება აქვთ თვალი ადევნონ შეფასებებს და საკუთარ აკადემიურ მიღწევებს. ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ პლატფორმას (https://eunsis.eun.edu.ge/) გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ასევე იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპის უნივერსიტეტის აუდიტორიები და ლაბორატორიები (ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, 0189, გურამიშვილის გამზირი N76);
- ევროპის უნივერსიტეტის სიმულაციური ოთახები 602/603 (ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, 0189, სარაჯიშვილის ქ. N17);
- ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, 0189, გურამიშვილის გამზირი N76);
- ელექტრონული ბაზები: https://eu.edu.ge/ge/library, ბაზებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ ჩატარებული შეხვედრების დამადასტურებელი

დოკუმენტაცია: ტრენინგზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფორმები; ○ ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: http://esu.edu.ge/biblio/opac/index.php; ○ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტისფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი; ○ ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი:https://eu.edu.ge/ge. ○ გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის პროცესი მიმდინარეობს უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტის „შპს ევროპის უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურები“ შესაბამისად (დამტკიცებულია უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის N6 გადაწყვეტილებით). ევროპის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის პროცესი დეცენტრალიზებულია, რაც გულისხმობს, რომ ბიუჯეტირების პროცესში უნივერისიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს გააჩნია უფლებამოსილება წინასწარ განსაზღვრული ფინანსური ლიმიტების, მისი უფლებამოსილებისა და ვალდებულებების ფარგლებში, დამოუკიდებლად განსაზღვროს შემდეგი წლის ხარჯის სახეები და მოცულობები, ამდენად, ბიუჯეტის შედგენის პროცესში ჩართულია ფაკულტეტები, უნივერსიტეტის სტრუქტურით გათვალისწინებული სამსახურები, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბიუჯეტში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების, ფაკულტეტების და პროგრამების საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებას.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა არის ახალი და შესაბამისად, 2021 წლის ბიუჯეტში არ არის ასახული კონკრეტულად აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები, უნივერსიტეტის მხრიდან, მაინც განხორციელებულია პროგრამის წლიური საპროგნოზო საოპერაციო შემოსავალ-ხარჯების მაჩვენებლები. პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, აღნიშნული გათვალისწინებული იქნება 2022 წლის ბიუჯეტში.

პროგრამის ბიუჯეტის შედგენის პროცესში ჩართულია ფაკულტეტის დეკანი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. ბიუჯეტის შედგენისას ხდება პროგრამის საჭიროებების შეფასება, პრიორიტეტული ხარჯების გამოყოფა და გათვალისწინება, ასევე, პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით პროგრამისა და ფაკულტეტის შემოსავლების გათვალისწინება. ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვან ხარჯებს ინტერნაციონალიზაცია/საერთაშორისო ურთიერთობებისთვის; სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებებისთვის; სასწავლო პროცესის მართვის ელ. სისტემის სრულყოფისთვის.

ევროპის უნივერსიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შედგენის პროცესი განხორციელებულია უნივერსიტეტში მოქმედი ზემოაღნიშნული დოკუმენტისა და პროცედურების შესაბამისად. ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები უზრუნველყოფს პროგრამის მხარდაჭერას და შესაბამისად, პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები განხორციელებადია, რადგან იგი მხარდაჭერილია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მიერ და უზრუნველყოფილია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის შემოსავლებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- ევროპისუნივერსიტეტისბიუჯეტირებისპოლიტიკადაპროცედურები;
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი;
- განათლების ადმინისტრირების პროგრამის წლიური საპროგნოზო საოპერაციო შემოსავალ-ხარჯების მაჩვენებლები.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და

აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარ საქმიანობას გეგმავს და წარმართავს რამდენიმე მიმართულებით, რომელსაც საფუძვლად დაედო აკრედიტაციის საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტებითა და ნორმებით გათვალისწინებული სიახლეები და განათლების სისტემის წინაშე არსებული უახლესი გამოწვევები. სამსახურის საქმიანობა განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებებით: ***სწავლა-სწავლება, კვლევა, მართვა და სერვისები.*** წინამდებარე პროცესების სრულყოფილად განხორციელების მიზნით მომზადებულია და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომია კონკრეტული რეგულაციები, პროცედურებისა და პროცესების აღმწერი სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომელთაც საფუძვლად უდევს არამარტო საერთაშორისო რეგულაციები და დოკუმენტები, არამედ საქართველოს კანონდებლობის მნიშვნელოვანი რეგულაციები, რაც გათვლილია უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლებაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიური მხარდაჭერითა და თანამშრომლობით წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია უნივერსიტეტის მისიისა და ღირებულებების, დარგების სპეციფიკის, საზოგადოების მოთხოვნებისა და უახლესი გამოწვევების უმნიშვნელოვანესი თემების გათვალისწინებით, რომლის გამართული რეალიზება საგანმანათლებლო პროგრამაში შედეგია საგანმანათლებლო პროგრამების და მათი განხორციელებით დაინტერესებულ მარეთა მხარდაჭერის მიზნით ფორმირებული მარეგულირებელი წესებითა და ხარისხის უზრუნველყოფის სხვა ნორმატიული დოკუმენტებით, მათ შორის უნდა დასახელდეს: ü *უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის განმსაზღვრელი დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ (დამტკიცებულია მმართველი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის №6 ოქმით);* ü *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №96 ბრძანებით);* წინამდებარე დოკუმენტების გაცნობის შემდგომ ცხადად ჩანს, რომ ხარისხის სამსახურს დეტალურად აქვს გათვლილი ინსტიტუციური მართვის ყოველი პოზიცია, რომელიც ემყარება პრინციპებს: *გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა* და *ვალიდურობა* და ემსახურება უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლების პროცესს. ის სამოქმედო მექანიზმები, რითაც სამსახური ოპერირებს, გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას აკადემიური პროცესების გაუმჯობესების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მუშაობს პრინციპით: *დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე.* გამომდინარე ფაკულტეტებისა და დარგების სპეციფიკიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინდივიდუალურად ხედავს და აფასებს კონკრეტულ პროცესებს, ავითარებს მათ და მხარს უჭერს დაწესებულებას სწავლა-სწავლების, კვლევისა და სერვისების

პროცესების გაუმჯობესებაში.

პროგრამის შემუშავება სტრატეგიულად მართებულად იქნა დაგეგმილი, რაც გულისხმობს იმას, რომ თავდაპირველად პროგრამის ინიცირების ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დასაქმების ბაზარი და მისი სპეციფიკა. ამას გარდა, წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისატვის საფუძველი მოამზადა ინსტიტუციის ფარგლებში უკვე არსებულმა წარმატებულმა *მასწავლებლის მომზადების პროგრამამ*, რომელმაც ინსტიტუციას საუკეთესო გამოცდილება შესძინა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ამ მნიშვნელოვან დარგში მუშაობის. გარდა ამისა უნივერსიტეტში უმნიშვნელოვანესია კვლევები, რომელთა მეშვეობით ინსტიტუცია შეისწავლის რეალურ ვითარებას სწავლა-სწავლების, კვლევისა და სერვისების განვითარების თვალსაზრისით და ეტაპობრივად და მიზანმიმართულად იგეგმება რეალური სურათის გაუმჯობესების ცალკეული საფეხური. ექსპერტთა ყურადღება მიიპყრო ინსტიტუციის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა, მათი შედეგების დეტალურმა ანალიზმა და ცვლილების პერპექტივაზე მორგებულმა დასკვნებმა. წარმოდგენილი კვლევებიდან საინტერესო შედეგები იყო წარმოდგენილი *დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზის შემდგომ წარმოდგენილ ანგარიშში.* უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა დაგეგმილია მართებულად, რაც გამოიხატება შემდეგში:

- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ახალია, რესპონდენტები არიან მიზნობრივად და მართებულად შერჩეული: საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ანალოგიური პროგრამების აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი; სხვა უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამების კურსდამთავრებულები; მრავალფეროვანი დამსაქმებელთა ჯგუფი (მემორანდუმები დადებულია როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ანუ პროგრამა ითვალისწინებს ყველა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პრობლემების განილვას და შესწავლას.);
- მიღებული რეკომენდაციები განიხილებოდა პროგრამის მხარდამჭერი საინიციატივო ჯგუფის მხრიდან, არ დებოდა რეკომენდაციების უალტერნატივოდ მიღება ან არაარგუმენტირებულად უარყოფა;
- ბაზრის კვლევა იყო დეტალური და სარეკომენდაციო დასკვნებში ხაზგასმული იყო განათლების სფეროს მენეჯერის ინოვაციურობა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და შესაბამისად, სფეროს ცოდნასთან ერთად განათლების ადმინისტრირების ცოდნისა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარების სავალდებულო ფლობის აუცილებლობა;

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის შედგენის პროცესში დაიგეგმა და განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის შედარება ქართული და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან (შპს შავი ზღვის, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის საელმწიფო, შპს საქართველოს ეროვნული, სსიპ-ილიას საელმწიფო, ტალინის (ესტონეთი), ვიტენბორგის გამოყენებითი მეცნიერბების (ნიდერლანდები), ლონდონის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტები). წინამდებარე უნივერსიტეტების შერჩევას საფუძვლად დაედო კონკრეტული მეთოდოლოგია, კერძოდ,

- Ø უნივერსიტეტების რეიტინგი, საგანმანათლებლო პროგრამის განორციელების ხანგრძლივობა და მისი რეიტინგი სტუდენტთა შორის - ქართული უნივერსიტეტების შერჩევის შემთვევაში;
- Ø უნივერსიტეტების წარმატებისა და გამოცდილების ხარისხი - უცხოური უნივერსიტეტების შემთვევაში.

ანალიზმა აჩვენა პროგრამის განვითარების სამი არსებითი მიმართულება განისაზღვრა, კერძოდ, *თეორიული ცოდნის, პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევების.* შესაბამისად ჩამოყალიბდა პროგრამის ხედვა, რომელიც ეყრდნობა ქართული და უცხოური უნივერსიტეტების საუკეთესო

გამოცდილებასა და პრაქტიკას, საელდობრ ***განათლების ლიდერი უნდა ერკვეოდეს არა მარტო ადმინისტირებისა და მენეჯემენტის საკითხებში, არამედ -სწავლება-სწავლის თეორიებსა და პრაქტიკაში.*** ასევე პროგრამისთვის ერთ-ერთი ამოსავალი საკითხია საგანმანათლებლო ინსტიტუციაში უსაფრთხო გარემოს შექმნა. წარმოდგენილი მასალები ცხადად ხაზს უსვამს წინამდებარე პროგრამის თანხვედრას ერთი მხრივ, ხოლო მეორე, მხრივს კულტურულ განსხვავებულობას საერთაშორისო სტანდარტთან, რაც ხელს შეუწყობს როგორც საერთაშორისო მობილობას პროგრამით დაინტერესებული მხარეთათვის, ასევე კურსდამთავრებულთა ვალიდურობასა და კონკურენტუნარიანობას როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე. უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო დოკუმენტების განახლება ხდება პერიოდულად მიმდინარე სიახლეებისა (როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებისადმი წაყენებული ახალი მოთხოვნების შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დეტალურად აქვს სამსახურის მოქმედების შიდა მექანიზმები გაწერილი. პროგრამის განმახორციელებელ და დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, საფაკულტეტო ადმინისტრაცია, ასევე პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები მუდმივად ჩართულნი არიან აკადემიური პროცესებსა და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში. ინტერვიუერებმა დეტალურად აღწერეს მათ მიერ ჩატარებულ სამუშაოები პროგრამისს ინიცირებიდან ვიდრე თვითშეფასებამდე, რამაც შეავსო ცალკეული ბუნდოვანი ნაწილები, რაც ასე თანმიმდევრულად არ იკითხებოდა წარმოდგენილ პროგრამის თანმხლებ მასალებში. ამდენად, სასურველია, რომ შემდგომში პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტისა და თვითშეფასების ჯგუფის სამუშაო პროცესების აღწერა დოკუმენტურად დაფიქსირდეს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების დინამიკაზე დააკვირვების მიზნით.
○ **მტკიცებულებები/ინდიკატორები** ○ შპს-ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა · (***დანართი N6***); ○ შპს-ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები· (***დანართი N14.1***) ; ○ შპს-ევროპის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურები· (***დანართი №3***); ○ შპს-ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები· (***დანართი №14***) ; ○ ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი · (***დანართი №14.13***); ○ ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.
○ **რეკომენდაციები:** ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
○ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** ○ სასურველია თუ პროგრამის მარდამჭერი კომიტეტისა და თვითშეფასების ჯგუფის სამუშაო პროცესის დაოქმების პრაქტიკა ექნებოდა უმაღლეს სასწავლებელს, შემდგომში საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების დინამიკაზე დააკვირვების მიზნით.
○ **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)**:

- ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში კვლევის პროცედურებში არამარტო მონათესავე/ანალოგიური პროგრამების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა, არამედ მსგავსი პროგრამის განმახორციელებელი ქართული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართვა კვლევის პროცესში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული გარე შეფასების ფარგლებში მოსამზადებელი ფაზების ზუსტად და მიზნობრივად ჩამოყალიბების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსხვავებულ ინსტრუმენტებს იყენებს. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები დეტალურად ანალიზდება და განიხილება პროგრამის განმახორციელებელი და პროგრამით დაინტერესებული მხარეების მიერ და შესაბამისად აისახება საგანმანათლებლო პროგრამაში. აკრედიტაციის მიზნით შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამაში აისახა, არამხოლოდ შიდა შეფასების თემები და მიგნებები, არამედ პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა საგანმანათლებლო პროგრამა წარადგინეს გარე შეფასების მიზნით უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებში დარგის ექსპერტებთან. ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამის განახლებისა და განვითარების პროცესში განმახორციელებელი პირები შეეცადნენ, გარე შეფასების სხვა მექანიზმებიც აემუშავებინათ საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო კონცეფციის წარმოდგენამდე.
გარე შეფასების აქტივობებიდან უნდა დასახელდეს დამსაქმებელთა კონკრეტული პოზიციები, რომელშიც ნათლად ჩანს დამსაქმებელთა დაინტერესება საგანმანათლებლო პროგრამისადმი. გამოკითხვების შედეგები მიეწოდა პროგრამის განმახორციელებელ პირებს, შედგა შესაბამისი ფოკუს-ჯგუფები და განხილულ იქნა ცალკეული რეკომენდაციები პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფებში.

პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა საგანმანათლებლო პროგრამა გარე შეფასების ფორმატში შეაფასებინეს მასარიკის უნივერსიტეტის პროფ. დოქტ. მილან პოლს, არკანზასის უნივერსიტეტის პროფ. ჯონ პიჯანოვსკის. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის შემუშავებამდე მომზადდა ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი კონკრეტული მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის თანახმად პროგრამის განმახორციელებლებს შედარების პროცესში ჩართული ჰქონდათ ქართული უსდ-ებში არსებული წარმატებული ანალოგიური პროგრამები, გარე შეფასების თვალსაზრისით შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა ასევე უცხოეთში მოღვაწე ქართველი მკვლევარ-ექსპერტის დოქტ. ნათია სოფრომაძის მიერ, რომელიც კარგად იცნობს საერთაშორისო დარგობრივ სტანდარტებს, ქართულ საგანმანათლებლო სივრცესა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. დასკვნებში ნათლად ჩანს, რომ ექსპერტებს დეტალურად აქვთ შესწავლილი პროგრამის დეტალები, სიღრმისეულად აქვთ შესწავლილი პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, ზედმიწევნით გაანალიზებული აქვს პრაქტიკისა და კვლევითი კომპონენტის დეტალები, რასაც არსებით მნიშვნელობას ანიჭებს საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიციურად განხორციელების მიზნით. ექსპერტთა დასკვნების მიხედვით:

- საგანმანათლებლო პროგრამაში აქცენტირებულია საგანმანათლებლო ლიდერობა, რაც თემატურად აისახა სასწავლო კურსებში: ***ლიდერობა, განათლების პოლიტიკა და ცვლილებების მართვა*** და ***განათლების ფილოსოფია და სწავლება-სწავლის თეორიები***. (დოქტ. პოლი);
- გადაიხედა ცალკეული სასწავლო კურსების სტატუსი და ამდენად საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი უფრო მეტად დაუახლოვდა საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებულ დარგობრივ კომპეტენციებს. ამ ცვლილებებმა შესაძლებელი გახადა დარგობრივი კომპეტენციების ჩაღრმავება. განხორციელებული ცვლილებები მიხედვით სასწავლო კურსის ***პირველადი დახმარება საგანმანათლებლო დაწესებულებებში*** სტატუსი გახდა არჩევითი. შემცირდა საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტი 5 კრედიტზე, რამაც ხელი შეუწყო ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილი კრედიტმოცულობის გაზრდას, რითაც სტუდენტები გაიღრმავებენ დარგობრივ ცოდნას და განივითარებენ უნარ-ჩვევებს. (დოქტ. პოლი და სხვ. ექსპერტები);
- ექსპერტთა რეკომენდაციით სასწავლო კურსებში ხაზგასმით არსებითი მნიშვნელობა მიეცა ისეთი თემების განხილვას, როგორიცაა ეთიკა, მრავალფეროვნება, თანასწორობა და ინკლუზიური მიდგომა (დოქტ. პიჯანოვსკი);
- რეკომენდაციების თანახმად პროგრამაში აქცენტი გაკეთდა ცვლილებების მართვაზეც, რათა კურსდამთავრებულმა, როგორც განათლების სფეროს ლიდერი დაეუფლოს რეფორმირებისა და რეფორმით გამოწვეული ცვლილებების მართვა (დოქტ. სოფრომაძე).

ინტერვიუებმა წარმოაჩინა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირები, ასევე პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები და დამსაქმებლები მუდმივად ჩართულნი არიან აკადემიური პროცესებსა და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში. რაც თვალნათლივ გამოჩნდა ვიზიტის დროს, კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პირები:

- კარგად იცნობდნენ საქათველოსა და მის ფარგლებს გარეთ დარგის განვითარების არსებულ მდგომარეობას, რაც გამოჩნდა მათთან მსჯელობის პროცესში;
- სიღრმისეულად იყვნენ გაცნობილნი გარე შეფასების მასალებს და შესაბამისად, მართებულად მოახდინეს რეკომენდაციების ადაპტაცია საგანმანათლებლო პროგრამაში, გათვალისწინეს რა დარგის სპეციფიკა და ადგილობრივი შრომის ბაზრის რეალობა, რაც შესაძლებელი გახდა დამსაქმებელთან რეგულარული კომუნიკაციით (რაც აისახა კიდეც გასაუბრების დროსაც).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები·(***დანართი №7***);
- საგანმანათლებლო პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება·(***დანართი №14.14***);

- საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზარის კვლევა·(*დანართი №8*);
- პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის ანგარიში·(*დანართი №8*);
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესში შპს-ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმებს, რომელთა შედეგების დამუშავება და ანალიზი რეალურ სურათს იძლევა საგანმანათლებლო პროგრამის არსებით ვითარებაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაგეგმილი რეაგირებების შესრულებას მონიტორინგს უწევს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების კურატორ ვიცე-რექტორთან ერთად. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება.

განმეორებითი შეფასებები იძლევა გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, მათი დახვეწისა და გაუმჯობესების შესაძლებლობას.
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასებების, მიღებული შედეგებისა და რეაგირების შესახებ წლიური ანგარიში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ წარედგინება ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორს, მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებისა და გაანალიზების, მათი დახვეწისა და გაუმჯობესების საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით. ანგარიში გაცნობისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორის მიერ წარედგინება მმართველ საბჭოს.

ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით:

საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წლიურად. მოცემულ შემთხვევაში უსდ-მ წარმოადგინა მოქმედი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში, რათა წარმოედგინა ის თემები და საკითხები, რის მიხედვითაც შესრულდა შეფასების პროცესი.

ამას გარდა წინამდებარე დოკუმენტის ანალიზის შემდგომ იგეგმება პროგრამის განვითარებისა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით განხორციელებულ აქტივობები (როგორიცაა, პროგრამის სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საბიბლიოთეკო რესურსების განახლება და სხვ.).

საგანმანთლებლო პროგრამის მონიტორინგი, შეფასება, განვითარება და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესება, რომელიც მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების შესაბამისად) და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით (პროგრამის კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების გაანალიზება და შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება.). პროცესები მიმდინარეობს დინამიკაში, ანუ ბოლო სამი წლის შედეგებზე დაკვირვება, რაც ხელს უწყობს რეალურად საყურადღებო საკითხების გამოყოფას და გამორიცხავს ძლიერი და სუსტი ჯგუფების შემთხვევაში მიღებულ შედეგებს, რომელიც გაზიარებულია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება ხორციელდება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით (შეფასების პროცესი რეგულირდება „ევროპის

უნივერსიტეტის სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურების“ შესაბამისად, დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 20 მარტის N85 ბრძანებით). შეფასება ხორციელდება შემდეგი მეთოდოლოგიით:

- პერსონალის მიერ უნივერსიტეტში პედაგოგიური საქმიანობის პირველად განხორციელების;
- სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე საჭიროების გამოკვეთის;
- წინა დაკვირვების საფუძველზე საყურადღებო საკითხების დაფიქსირების შემთხვევაში.

შეფასების პროცესში მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, სფეროს ან მომიჯნავე სფეროს სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი, სწავლების ინოვაციური

მეთოდების ტრენინგცენტრის წარმომადგენელი.

შეფასების დაჯამებული შედეგები და უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეგზავნება აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ინდივიდუალურად. შეფასების უმნიშვნელოვანესი მიზანია კოლეგებს შორის არსებული საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება, რაც ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. შედეგების განხილვის საფუძველზე იგეგმება პროფესიული განვითარების ღონისძიებები, მათ შორის დარგობრივი ტრეინინგები.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისით. ასევე შეფასების ფოკუსში შესაძლოა მოექცეს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალი სტუდენტებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პეროსონალის ჩართულობის ხარისხი.

მონიტორინგისა და სწავლის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ფასდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა კმაყოფილების კვლევების საშუალებით, რომლის ფარგლებში ფასდება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა, უნივერსიტეტის მხრიდან მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მართვის სტილი, ანაზღაურების საკითხები და ა.შ. სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა კი ემსახურება სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღებას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა, სასწავლო პროცესი.

კვლევების შემდგომ მიზნობრივ ჯგუფებთან, განიხილება საბოლოო დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც გაზიარებულია როგორც პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, ისე ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შემდგომი რეაგირებისთვის. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამა დაექვემდებაროს მოდიფიკაციას.
ვიზიტის პროცესში ინტერვიუებიდან დადასტურდა, რომ აკადემიური პერსონალი, სტუდენტები მომიჯნავე პროგრამებიდან იცნობენ ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულ მონიტორინგის განხორციელების დოკუმენტებს, რომელთა გაცნობა მათთვის სხვადასხვა ტრენინგსა და სამუშაო შეხვედრაზე გახდა შესაძლებელი, რომელიც უნივერსიტეტში პერიოდულად იგეგმება და ტარდება. ამას გარდა, აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ მათ მსგავს პროცესებში მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული, თუმცა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში მონიტორინგის მექანიზმები სრულყოფილად ამოქმედდება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამისათვის (მით უფრო, რომ ის პირველად განხორციელდება დაწესებულებაში), რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს-ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები· (***დანართი №14***);
- შპს-ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები· (***დანართი N14.1***);
- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წლიური შეფასების ანგარიში (ნიმუში)· (***დანართი N14.10***);
- ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი · (***დანართი №14.13***);
- განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები·(***დანართი №7***);
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		x		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მიხეილ გიორგაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ქიმერიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა მარინა ჩავლეიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ეკატერინე კვირიკაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა სიფიკო შარაბიძე